ელიწადი -ლი | ტელეფონი № 76. | სამშაბათი 18 აპრილი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურად . . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ფასი 20 კ.
წლიური ხელის მოწერლებს გაეგზავნებათ ფასი შეუჯლიანთ ნაწილნაწილათ
გადასახადსა: ხელის მოწერა ... 5 მ. სავი თვის შემდეგ კიდევ ... 5 მ. დანარჩენი სეტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე ... ...

კის წარმოებას? საქართველოს ტერიტორიის შეკვრაება და ქართველთა ეროვნების კეკრწყვეა.

გადავავლოთ თვალი ჩვენი ქვეყნის წარსულს. ავხადოთ ფარდა ჩვენში მოწყობილი სასამართლოების არსებებს, გადავიკითხოთ საქმეები, ოქმები, მსაჯულთა განაჩენები, საიდუმლო მიწერ მოწერები და დავინახავთ იმას, რაც უსაზღვროთ აღაშფოთებს ყოველ ადამიანს, რომელიც სინიდისსა და სამართლიანობას თავის არსებაში ატარებს.

რა საშვალებით მოახერხა მთავრობამ კერძო მამულების მითვისებაზე?

მთავრობას ჰქონდა ორი საშუალება ანუ ორი გზა. პირველი საშუალება იყო ის, რომ საქართველოში კერძო მესაკუთრეს თავისი საკუთრების დასამტკიცებლათ წერილობითი სამუთი ხშირათ არა ჰქონდა, ამით ისარგებლა მთავრობამ და სადაც კი ასტყდა დავა მესაკუთრეთა შორის სასამართლოში, რომელიც მთავრობის თვითნებობას უფრო ემსახურებოდა, ვინემ სამართალს, მთავრობამ მესამე პირათ ხაზინა წამოაყენა. ამის გამო სადავო მამული ორივე მედავეს ეკარგებოდა და სახაზინოთ ირიცხებოდა. ესე იგი ხდებოდა ის, რომ მოამჩივან-მოპასუხე ერთმანეთს აკვდებოდა, მამული კი ხაზინას მიჰქონდა.

ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ საქართველოში დიდი მთები საერთო საგვარეულო საკუთრებას შეადგენდა, მათ უსსოვარი დროიდან ფლობდა ესა თუ ის გვარი თავად აზნაურისა ანუ რომელიმე შტო ქართველ მეფეთა ჩამომავლობისა. აქაც წერილობითი სამუთი ხან არ იყო ხან დაკარგული იყო, ხან სავსებით ცხადათ არ იყო შედგენილი, ყოველ ამ გვარ შემთხვევაში ხაზინა „კანონიერ" პატრონათ გამოიოცა, და ეს დიდი მთები მას ირჩებოდა. სასამართლოს მატიანე დაგვანახებს, რომ, საქმე როცა ირჩეოდა, სამართალი უფრო ხშირათ ილახებოდა და თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ხაზინა იმარჯვებდა; იმარჯვებდა ძალმომრეობით, უსამართლოებით, მოხერხებით და არა სამართლიანობით.

მეორე საშუალება იყო ის, რომ მთავრობამ შეთხზა თავის სასარგებლო პროექტი და მერე კანონათ გადაიქცია.

ამ კანონის ძალით საეკლესიო მამულები თავის საკუთრებაში გადაიტანა და სამღვდელოებას ვითომდა მისი საფასური ფულათ ხაზინიდან მისცა.

ეს საქმე თვით მთავრობამ გამოიფიქრა, თვითონვე გადაწყვეტა და შეასრულა. მითვისა მიწები, ვენახები, მთები, შენობები და მოიჯარადრე ვლეხები.

ამ გვარათ გაჩდა ჩვენში სახსნინი ბლეხის ტიპი. ამ გარემოებამ გამაწვავა ბლეხთა შორის დამოკიდებულება და შეჰქმნა დაუსრულებელი შური და მტრობა, რომელის მოწესრიგებაში მთავრობას უნარი არ აღმოაჩდა, და საჩიერის მსხვერპლათ იქცნენ თვით საკოდავი ბლეხები.

ორივე ზემო აღნიშნული საშვალება არის ცხადი გამომხატველი უსამართლოებისა და ძალმომრეობისა. ამგვარ ნიადაგზე აღმოცენებული დაწესებულება უნდა დაინგრეს. ამ გვარ ნიადაგზე დამყარებული საკუთრება უნდა მოისპოს.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მამულების მითვისებაში მთავრობამ დიდი მადა გამოიჩინა. რამდენათ უფრო მაგრდებოდა აქ მთავრობის ძალა, იმდენათ უხეათ კმაყოფილდებოდა ეს მადა. მაგალითად ბატონ-ყმობის მოსპობამდი სახაზინოთ ითვლებოდა 20,000 დესიატინა მიწა და ღღეს კი 600,000 დესიატინას აღემატება. ამ გვარ პოლიტიკას აწარმოებდა მთავრობა მაშინ, როდესაც მას ტრაქტატის ძალით მზრუნველობა უნდა ჰქონოდა ჩვენზე და არა თავის თავზე. აი ამ გვარმა უკუღმართმა პოლიტიკამ გამაწვავა ჩვენში მიწის საკითხი და შეავიწროვა ჩვენი ტერიტორია.

საჭიროთ მიმაჩნია არსებული საბუთების მიხედვით შევიმუშაოთ საერთო მოთხოვნილება და მოვსთხოვოთ ახალ მთავრობას ეს უსამართლობა მოსპოს და ამ დაწესებულებას თავისი მსჯავრი დასდოს.

ტრიფონ ჯაშარიძე.

რუსული პრესა.

გაზ. „რუს. ვედ." (თავის ფეთალტონში: არმია და პოლიტიკა) ეხება ფრიად საყურადღებო კითხვას, თუ რაოდენ შესაძლებელია და სასურველი ამიერიდგან, რომ ჯარი, როგორც აგეთი, როგორც შეიარაღებული ძალა, რუსეთის შინაგან ცხოვრებაში ერეოდეს, სახელმწიფოს პოლიტიკურ ბედის ასე თუ ისე გადაწყვეტ ელტვოდეს. ეს კითხვაგაზეთის აზრით არაა მოკლებული ერთნაირ სიმწვავეს. მას შემდეგ, რაც 27 თებერვალს ჯარმა რუსეთის რევოლიუციის ბედი გადაწყვიტა, უნებლიედ ებადება კაცს ფიქრი ჯარის ხელობაზე გამოსვლების შესაძლებლობის შესახებ.

ასეთი გამოსვლა ზოგს აშინებს, ზოგს ათამამებს, მაგრამ არავინ არიისეთი, რომელიც მას ანგარიშს არ უწევდეს. ამიტომაც სცდილობს ყველა, დაუკავშირდეს ჯარს, დაუმოიჩოლოს იგი თავის გვლენას და დაიმკვიდროს მისი დახმარება ან მეგობრული ნეიტრალიტეტი მაინც.

არსებითს პასუხს ამ კითხვის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ჯარი შინაგან ცხოვრების შესაძლო გართულების ღამს, ჰპოებს გაზეთი მე-6 არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა დეპუტატების არჩეულთა განცხადებაში. ეს არჩეულები გასცნობიან პეტროგრადში იმ, მათის აზრით „ერთთან საშიშ", შეხედულებას, რომლის თანახმად „შესაძლებელი უნდა იქნეს ჯარის ან მისი ნაწილების მოხმარება შესაძლო კონფლიკტების გადასაწყვეტად", და ამ შეხედულების წინააღმდეგ თავისი ენერგიული პროტესტი გამოუთქვამთ. მათ განუცხადებიათ, „ამიერიდან ჯარზე, ვითარცა შეიარაღებულ ძალაზე, იმედების დამყარება შეიძლება მხოლოდ გარეშე მტერთან ბრძოლის საქმეში. ხოლო მიმართვა ჯარისა ან მისი შემადგენელ ნაწილის შეიარაღებულ ძალასადმი მას შემდეგ, რაც თავისუფალმა მოქალაქეებმა მოიპოვეს უფლება მშვიდობიანის გზით გადასწყვეტონ კითხვები რუსეთის შინაგან ცხოვრების მოწესრიგებისა, ჩვენის აზრით შეუწყნარებელია, საიგდანაც არ უნდა მოდიოდეს ეს მოწოდება შეიარაღებულ ძალის ჩარევის შესახებო".

გაზეთი იზიარებს სამართლიანობას ასეთი აზრებისას და საჭიროდ სთვლის მათს გავრცელებას ჯარსა და ხალხში. მაგრამ მისი აზრით ეს საკმარ არაა. საჭიროა შექმნა ისეთი პირობებისა, რომ ჯარის ჩარევა სამოქალაქო დავაში შეუძლებელი გახდეს და სადავო კითხვები სწყდებოდეს შეგნებისა და არა იარაღის ძალით. ხსენებულ პირობებს გაზეთი შემდეგ ნაირად განმარტავს:

„თუ ჯარი შინაგან დავაში შეიარაღებულის ძალით ჩარევას უნდა მოერიდოს, ცხადია, იგი, ვითარცა ორგანიზაციული ერთეული პოლიტიკის გარეშეც უნდა იდგეს. რამდენადაც ეს შესაძლოა. ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შეუძლია ყველა პოლიტიკურ უფლებით ისარგებლოს, ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ მხოლოდ როგორც უბრალო მოქალაქეს და არა როგორც სამხედრო პირს. მათ პოლიტიკურ ორგანიზაციაშიც შეუძლიათ შესვლა, მაგრამ ჯარის რომელიმე ნაწილის ასეთ ორგანიზაციად გარდაქცევა საბედისწერო შეცდომა იქნებოდა. ჯარის ყოველი ნაწილი, პატარა თუ დიდი, არა მარტო უპარტიო უნდა იყოს, არა მედ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს. მხოლოდ მაშინ მოისპობა შენაწევრებულ სამხედრო ნაწილებისა და, მაშასადამე, შეიარაღებულ ძალის პოლიტიკურ დავაში ჩარევის შესაძლებლობა"

ამისთვის კი საჭიროა, რომ ჩვენ რაც შეიძლება ნაკლებ ვერეოდეთ არმიის შინაგან ცხოვრებაში. თუ გვსურს, რომ ჯარი ჩვენს შინაგან დავაში არ ერეოდეს, საჭიროა, რომ ჩვენც მოვერიდოთ ჯარის შინაგან ცხოვრებაში ჩარევას.

„თუ კი ჩვენ თვითონ ჩავრევთ ჯარს, როგორც შენაწევრებულს ერთეულს, პოლიტიკაში, გვიანღა იქნება შემდეგ ჩვენი იმის შესახებ, რომ ჯარი თავის ნებით შეუდგა პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტას და თან არა ისე, როგორც ჩვენ ვეუწადა."

შემდეგ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჯარი დანარჩენ მცხოვრებლებს არა სავსებით მოწყვეტილია, მის ხმას ყურს უგდებს, მისგან პოლიტიკურ ჩვეულებებს ითვისებს. მიტომაც არის ფრიად საჭირო საღი პოლიტიკური ხნე-ჩვეულებისა და სამართლისადმი ეკუმშარის პატივისცემის დამყარება. სახელმწიფოს შინაგანი ცხოვრება ჯარის ჩარევისაგან უზრუნველყოფილია მხოლოდ იქ, სადაც სამართალი ბატონობს, სადაც სადავო კითხვებს სწყვეტენ სამართლისა და არა ფიზიკური ძალის მიხედვით. მხოლოდ მაშინ, როდესაც მთელი ხალხი განისვენებლა სამართლის პატივისცემით, ჯარიც მოიხრის ქედს სამართლის წინაშე, და შინაგან დავაში სამხედრო ძალის ჩარევის საშიშროება სრულიად მოისპობა.

ახალი მთავრობა

პეტროგრადი 14 აპრილი ნებადართულია ხელმეწულელათ გაიგზავნოს ფოსტით საზღვარ გარეთ დაბეჭდილი ნაწარმოები ბანდერეროლით იმ პირობით, რომ ისინი განიხილოს სამხედრო ცენზურამ ამასთანავე აღდგენილი უნდა იქნეს ძველი წესი გაზეთებზე და ჟურნალებზე ხელის მოწერისათვის.

პეტროგრადი 14 აპრილი.

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გამოაქვეყნეს ვიდჰელმის ბრძანება ბრძოლის ველზე აუცილებლათ გაგზავნის შესახებ იმ პირთა, რომელნიც მოწვეულნი არიან სამხედრობეგარის გაწყვეისათვის და რომელნიც იმყოფებიან ჯარის ზურგით. ამავე დროს საზღვაო სამინისტრო აცხადებს რომ ვერმანეთს ჰყავს თავის განკარგულებაში დიდძალი ჯარი და ვინაიდგან ფართოთ არის გამოყენებული ქალების მუშობა სამხედრო სამკურნალო სამსახურში და სხვა დამხმარე თანამდებობაში ჯარის ზურგით, დიდი ნაწილი ამ ჯარისა განთავისუფლებულია სამსახურისაგან, ბრძოლის ველზე სახეში ჰყავსთ განთავისუფლონ მუშების სპეციალისტები უკვე გარდასული ხნისა, განსაკუთრებით კი გამოიწვიონ ასპარეზიდან ოჯახის მუშები

(გაგძელება იქნება)

პეტროგრადი 13 აპრილი. გამოქვეყნებულია მთავრობის ბრძანება სახელმწიფო საბჭოს წევრის კანცელარიის უფროს მმართველის მამონტოვის სამსახურიდან გამორიცხვისა შემდეგი პირთაგან თხოვნის მიღების შესახებ:

საჰაერო ფლოტის ღენერალ ინსპეკტორის ალექსანდრე მიხეილისძისაგან, სასანატრო და საეკავკაკის საველე არტილერიის ღენერალ ინსპეკტორის სერგი მიხეილისძისაგან უფროსის პრინც ოლდენბურგისაგან, დასავლეთ ასპარეზის ჯარის მთავარ სარდლის ევერტისაგან, მოსკოვის ოლქის ჯარების უფროსის მრ-ოზოოსკისაგან დასავლეთ ასპარეზის ჯარების „ნაკაზნოს ატამანის თუმანოვისაგან, ყუბანის ოლქის უფროსის ბაბინისაგან სამარ საბჭოს წევრის სანდეკისაგან, და სენატორების სინინის, ზოლოტარიოვის ანდრეევსკის, ხაინინჩოვსკის, ნანულოს ვეჩინის და ბელეკასისაგან.

მსოფლიო ომი

ადმირალთა ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 აპრილი. ოფიციალი. ჩვეულებრივი სროლა და დაზვერვა გრძელდება. ვლადი-მირ-ვოლინის მმართველებით ყუბარების მტყორცნელთა ცეცხლი ძლიერდება.

რუმინეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 აპრილი. სროლა და მზვერავთა მოქმედება.

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 15 აპრილი, ოფიციალი. ერძინჯანის მიმართულებით ოსმალები ენერგიულ მოქმედებას განაგრძობდა ერძიჯანის სამხრეთ აღმოსავლეთით მათ შეს ძლეს ჩვენი ერთი რაზმის განადგურება, მაღლობ ბოდიუმერის მიდამოებში. ვანის ტბ. სამხრეთ-აღმოსავლეთით ქურთების დასმარებით ოსმალებმა იერიშები მოიტანა ჩვენს პოზიციებზე, დაიკავეს ნაწილი მაღლობისა, რომელიც ჩვენის მოწინავე ჯარის ნაწილების ხელთ იყო.

შავ ზღვაზე.

ჩვენმა ნაღმოსანმა განადგურა რამდენიმე ეანდარმთა სადარაჯოები. ბოფორს-სამუნის მიმართულებით. ცეცხლი გაუხინა ამავე რაიონში საინტენდანტო საწყობებს. მტერმა ჩამოაგდო ჩვენი თვი მფრინავი. აპარატი დაიმსხვრა, მფრინავი უვნებლად გადარჩა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 13 აპრილი. ოფიციალი ჩვენი არტილერია ენერგიულად უშენდა მტერს ვერტანდეს მიდამოებში, ილატის სამხრეთით. ვოკიანის მახლობლად ჩვენ გავფუძტეთ გერმანელების შეჯგუფებული რაზმები. მდ. ენსა და შემანდოდს მახლობლათ გერმანელებს გუშინდელ სასტიკ სისხლის მღვრელ ბრძოლის შემდეგ ეერიშები არ განუახლებიათ. საარტილერიო ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო ლორენეში. ბრძოლებში ბრძოლა და ლენინ-ბურგ-ბურრა. ბურტებიზის მიდამოებში. ქვეყნა ჯარი არ მოქმედობდა. მდ. მასსის მარცხენა ნაპირზე მტერი სცდილობდა დაახლოვებოდა ჩვენს ბრძოლის ხაზს, მაგრამ ავანკურის ტყის მახლობლად ჩვენმა გრენადერებმა მტერს უკან დაახვინეს.

3 აპრილიდან მოკიდებული 9 აპრილამდის ჩვენმა მფრინავებმა თავ ისახელეს: მფრ. პოდპორ. დორმმა მე-19 და მე-20 მტრის საფრენი აპარატი, პოდპორ. დელინმე მე-14. პორუჩ. პენსერმა მე-9 და 10, პოდპორ. განსკონმა მე-10, პოდ პორ. ფენგენდორნმა მე-6 და მე-7, პრაპ. ლიუბეერმ კი ჩამოაგდო მტრის 8 აპარატი. 12 აპრილს ინგლისის ჯარმა იერიში მიიტანა მტერზე დოირანოკადის ტბასთან და დაიკავა მტრის თხრილები 100 მეტრის სიგრძეზე. კრასტელის ჩრდილოეთით. ხაზზე სადაც გამაგრდა მტერი ბრძოლის დროს დიდი ზარალი მივაყენეთ. დოირანის ტბასთან ბრძოლის დროს მტრის აეროპლანი, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული ძირს ჩამოვარდა.

სოლუნი. 13 აპრილი. ოფიციალი. ახლო-აღმოსავლეთში გრძელდება ჩვენ მიერ დაკავებული პოზიციების გამაგრება. მტერს ვესროდით. ცირნიბეტში ჩვენმა მფრინავებმა მტერი დიდათ დაზარალა. გავფანტეთ მტრის სპეციერო ესკადრები. ერთი ჩვენი აეროპლანი დაიღუპა.

14 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენის სექტორში, რანტელიესნის მიმართულებით ვილმბუსთან გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა სწარმოდა. მთელი ასპარეზის სიგრძეზე გერმანელები სცდილობდენ ჩვენზე მოულოდნელ თავდასხმის. უმნიშვნელო იერიში მტრისა მოვიგერიეთ ტყვიის მფრქვეველთა და ყუმბარების საშუალებით. მტერმა საგრძნობი ზარალი ნახა, განსაკუთრებით ტყის დასავლეთ ნაპირებთან. რეიმსის ჩრდილო დასავლეთით ჩვენდა სასარგებლოდ სწარ მოგმდა ოპერაციები. გიურტებიზისა და სერნის მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 40 კაცი.

მარიოვილიესთან ჩვენ დავიკავეთ მნიშვნელოვანი ადგილი ვილიუსკუ რიე იტი უსახეთო მთასთან გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. დავაგრიეთ გერმანელების საფრები. წამოვიყვანეთ ბრალი ტყვე 3 აპრილიდან დღემდე სუასონსა და ალ საბერიოს შუა მდებარე ადგილებში ხელთ ვიგდეთ 130 სამხედრო იარაღი.

პარიზი. 15 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენის სამხრეთით, გერმანელების პირველ ხაზზე უმნიშვნელო შეტაკებების შემდეგ გავიმარჯვეთ. გერმანელებმა ძლიერი მზადების შემდეგ, ჩვენს თხრილებს მძლავრად დაუშინეს. სროლა ჩვენ მიერ შეჩერებულ იქნა. მაასის მარცხენა ნაპირიდან ჩვენი რაზმი შეიჭრა მტრის თხრილებში. წამოვიყვანეთ ტყვეები. წამოვიღეთ 175 ძმიმე იარაღები, 412 საველე ტყვიის მფრქვეველი. საერთო რიცხვი აღ წევს 20100-მდე.

ბელგია. 11 აპრილი. ოფიციალი. დრო. გამოშვებით ხდება საარტილერიო ბრძოლა.

იტალიათის ასპარეზი.

რომი. 13 აპრილი. ოფიციალი. ტრენტინოს მიდამოებში გაძლიერდა ფფრინვავთა მოქმედება. მტრის მფრინავები სცდილობდენ ჩვენს ტერიტორიაზე მოქმედებას, მაგრამ ყოველის მხრიდან გავდევნეთ ჩვენის ძლიერის არტილერიის ცეცხლის საშუალებით. იულის ალპების ასპარეზზე ღამით 12 აპრილს მტრის რაზმები სცდილობდენ თავსდასხმოდენ ჩვენს სადარაჯოებს, მაგრამ ტოლმინოს ჩრდილო-დასავლეთით დამარცხდნენ ეშინ დღისით მტრის არტილერიამ ძლიერად დაუშინა ჩვენს პოზიციებს. მაღლობ 208 ჩვენი ბატარეების საშუალებით შეეჯერეთ მტრის სროლა. ჩვენნა მფრინავებმა რიფამბერეგის ხაზს ყუმბარები დაუშინა და უვნებლად დაბრუნდენ. ღამის განმავლობაში ერთმა ჩვენმა აპარატმა ჩამოყარა 600 კილოგრამი ამფეთქებელ ნივთიერებისა. ჩვენი აპარატი რაკა ბრუნდებოდა მტერმა შეამჩნია, მაგრამ

ბიბლიოთეკა

მესამეთა ტომაში.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მდ. ტიგროსის მარჯვენა მხარეზე ინტბოლატის ზემოთ 10 აპრილს ინგლისელებმა მტერზე გაიმარჯვეს. დარჩათ დიდი ნადავლი. მტრის ზარალი დიდია.

ყუმბარების ბეფექტი.

ლონდონი. 14 აპრილი. როგორც ინფორმეიენან შოტლანდიის სამხედრო ქარხანაში გასცდა ექვს დუმიანი ყუმბარა. დაიჭრა 12 მუშა. მიკვდა 3 მუშა ქალი.

შეკეცა-ამერიკის შორის.

სტოკჰოლმი. მთავარ საფოსტო სამმართველო იუწყება: ვინაიდან შეწყვეტილია შეკეცა-ამერიკის გეზეთის მიმოსვლა ამის გამო ღორეანი შეჩერებულ იქნება შეკეცასა და ჩრდილო ამერიკის ერთმანეთს შორის საფოსტო ამანათების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლა.

ფრანკეთში.

ლონდონი 15 აპრილი აღმოსავლეთ ფრანკეთში წვიმებია, რაც ხელს უშლის მსხვილ ოპერაციების წარმოებას. კილვას მიდამოებში მზეეროვთა ენერგიული მოქმედებაა. მტრის 2 რაზმმა დაკარგა ბრძოლის დროს 50 კაცი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

— **პროფოკაციული ხმები.** ამ ბოლო დროს რიგის მიდამოებში ხმები გავრცელდა, თითქოს ბალტიის ზღვის ყველა ნავთსადგურებში გაფიცვა მოეხდინათ ვერმანელ მეშვებს და თითქოს არსენალებს, ნავთსადგურის სახელოსნოები და დოკები უმოქმედოთ იყვნენ. უკანასკნელად მიღებულმა ცნობებმა უარყო ეს უსაფუძვლო ხმები და გამოარკვია, რომ ასეთ ხმებს თვით გერმანელები ავრცელებენ, რათა ამით რუსის ხალხსა და ჯარს თვალები აუხვნონ და შემდეგ კი მოულოდნელი მახვილი ჩასცეს ზურგზე მოწინააღმდეგეს. („ბირჟ. ვედ.")

— **საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე.** უკანასკნელ ხანს კოპენჰაგენში დაენებითი ხმები გავრცელდა, თითქოს საზავო მოლაპარაკება უკვე დაწყებულიყოს, ანდა ახლო მომავალში დაიწყებოდეს. არის ვერსია, თითქოს ერთი სახელმწიფო შესდგომოდეს უკვე ბინის მოძებნას საზავო მოლაპარაკებისათვის. რამდენათ მართალია ეს ხმები, ძნელია მისი თქმა, ხოლო რამოდენიმე გაზეთის გადმოცემანი უფთოდ არის ყურადსაღები, სახელოდნრ ის, რომელიც ირწმენება, რომ გერმანეთმა დაიწყო ინგლისთან საიდუმლო მოლაპარაკება რამდენიმე გავლენან პირთა შემწეობით. ეს მოლაპარაკება თითქოს ისეთის წარმატებითა და ხისწრაფით მიდის, რომ მის უკანასკნელ გადაწყვეტილებას პირველი მაისისათვის უნდა მოველოდეთ. „ნაციონალ ტიდენდეი" აფრთხილებს მკითხველებს და მოუწოდებს ნუ იქონიებენ ამ ხმებისადმი ზედმეტ ნდობას. („ბირჟ. ვედ.").

ექიმი ტერ საკოვი — პროფესორი.

კიევის ექიმთა კავშირს გაუგია, რომ პროფესორი ტერ-ოთ შორის აღმოჩენილა ქალაქ საავადმყოფოს ექიმი არ. ი. ტერ-საკოვი და დაუდგენია: გამოუცხადოს მას ზიზღი და აღიაროს შეუწყნარებლად მისი ექიმთა რომელიმე საზოგადოების წევრად მიღება.

ალექსანდრე მეორეს მკვლელების საფლავები.

პეტროგრადის მუშებს პრეობრაჟენის სასაფლაოზე გამოუქმნიათ ალექსანდრე მეორის მკვლელობისათვის დასჯილ შემდეგ პირთა საფლავები: პეროვსკაიასი, ეელიაბოვისა, რისაკოვისა, კობალჩიჩისა და მიხაილოვისა.

ბულგარელები და ზავი.

რუმინეთის გაზეთების ცნობით, შეეცარიაში მისულან ბულგარელების დელეგატები, რათა გამოარკვინონ, თუ რამდენათ შესაძლებელია სეპარატიული ზავი. ფიქრი ზავის შეკვრისა ბულგართა შორის იიხსნება იმით, დასძენენ გაზეთები, რომ ბულგარეთში ეს უკანასკნელი ხანია მღელვარებამ იჩინი თავი.

ინგლისის საზღვაო-საამშენებლო უწყების კონტროლიორს ეს არის ეხლა დაუმთავრებია ხსენებულ უწყების მოქმედების ანგარიშის შედგენა აღმოჩნდა, რომ წარსულ წელს ინგლისში მეკრე გემები ნავარაუდევზე გაცილებით ნაკლები აუშენებიათ.

უწყლოგა.

ჩვენს ქალაქს ბევრი საჭირბოროტო კითხვები აქვს მოსაგვარებელი. ამ ჟამად ქალაქის მცხოვრებნი უწყლობით ბეტად შეწუხებულნი არიან. 1915 წ. ქალაქის გამგეობა წყალ სადენის მოწყობას აპირებდა, რისთვისაც მოწვეულ იქმნა ინჟ. ქუტდიანი, მაგრამ დღეს, როგორ ქალაქის თვით მართველობას სრული რეორგანიზაცია მოელის, ხსენებულ საქმის განხორციელებას იგი ვერ იკისრებს. მაგრამ ისეთი კითხვის გადადება, შეუძლებელია, როგორიც არის უწყლობა. ქუთაისში უწყლობა წარმოშო ცხენების სიმ ციერემ. წყალის ამოტანა მდინარიდან გაძნელდა და დღეს ერთი ბოჭკა წყალი, რომელიც წინად 20 კაპ. მოჰქონდათ, ამ ჟამად მანეთადაც არ იშოვება. და მაგარი ის არის, რომ მგბოჭკენი მთელ ქალაქს ვერ აწვდიან წყალს. ბევრი ოჯახი უწყლობით იტანჯება. ქალაქის ადმინისრულებელ კომიტეტს მართებს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ამ ჟამად ეწესებლო ზომას მიმართოს. ჩვენის აზრით, შესაძლებელია ადმინისრულებელმა კომიტეტმა ამიერ კავკასიის მთავარ კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რათა ქალაქს მიეცეს რაოდენმე ცხენი წყლის საზღვადად. შესაძლებელი აგრეთვე ისიც, რომ თუ მგბოჭკენი არა ამასთან, ამ საქმეში ქალაქმა რომელიმე ნაწილის ჯარისკაცები ამუშავოს. მცხოვრებთა ინტერესებისთვის, ქალაქის ადმინისრულებელმა კომიტეტმა ეს საქმე საქართველ უნდა ითავოს. სპირია აგრეთვე, რომ ქალაქის გამგეობამ ბოჭკა წყალზე ნიხრი დააწესოს, რომ ქალაქის ღარიბეს მცხოვრებთ გაუადვილდეთ წყლის შოვნა. ჩვენ აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ წყლის მიწოდების საქმე მთლიანად ქალაქის ხელში გადავიდეს, რადგან კერძო პირები თავის ქეიფზე იქცევიან და ხშირად მცხოვრებთ მთელი დღის განმავლობაში უწყლოთ სტოვებენ.

ჟ.

ახალი ამბავი

✦ 14 აპრილს ბაზრის ზედამხედველმა პლ. ბეე კორძაიამ ლობოოს ნიხრსზეევით გაყიდვისათვის ნიკოლოზ ბერუჩეკს ოქმი შეუდგინა.

✦ კვირას, 16 აპრ შეიპყრეს მღვდელი ეორკოლიანი, რადგან მას ცუდი საქციელი შესწამეს.

14 აპრილის სხდომაზე აღმ. კომიტეტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: 1) კომიტეტის მდივანმა დ. ავალიანმა მოახსენა კომიტეტს, რომ აღმ. კომიტეტის საჭიროებას ძმ. ბუტულოვებმა 100 მ. და რომანოზ მახარაძემ 25 მ. შემოსწიროს ამას გარდა ჯარისაკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან შემოვიდა 100 მ. თავისუფლებისათვის მებრძოლ დახოცილ გმირების სასარგებლოდ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა მადლობა გამოუცხადონ ბუტულოვებსა და მახარაძეს თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოხდისათვის. აპათანავე ჯარისაკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ შემოწირული 100 მ. გაეგზავნოს პეტროგრადში შუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჩხეიძეს თავისუფლებისათვის მებრძოლ დახოცილ გმირების სასარგებლოდ

2) განხილულ იქმნა განცხადება ს. ვანის (საჩინოს მხარე) აღმ. კომ. წევრის არჩილ სულავასი, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა რათა ს. ვანში დაარსდეს ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც სამსაზურს გაუწევს, როგორც თვით ს. ვანს, ისე მახლობელ საზოგადოებებსაც: ტობანიერისას, საპაიჭოასს, მუხაურუს, საღლინოს, დვალიშვილებისა და ამაღლებისას. ასეთი დაწესებულება მით უმეტეს საჭიროა აქ, რომ ზემო ჩამოთვლილ სოფლები მოშორებულია ქ. ქუთაისზე 25 ვერ. ბაღდადზე 39 ვ. და სამტრედიაზე 22. ვ.ამას ვარდა გზები ამ სოფ. მეტად ვლახაა და შეუძლებელია ყოველ საჭირო შემთხვევაში ქალაქში მიმართვა. ბ. არ. სულავამ განცხადებასთან ერთად წარმოადგინა ბაღდადის სარაიონო აღმ. კომიტ. დადგენილება, რომელიც სავსებით იზიარებს სულავას აზრს და საჭიროდ სცნობს მის დაკმაყოფილებას. აღმ. კომიტეტმა ერთხმად დაადგინა დაარსდეს ს. ვანში ადმინისტრაციული ცენტრი.

3) განხილულ იქმნა დეპეშა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტისა. აღმ. კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ არჩევნები სასოფლო კომიტეტისა ზოგიერთ ალაგას უკვე დაიწყო კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესებზე, დადგინა არჩევნები კვლავ გაგრძელდეს გუბერნიაში, ამასთანავე ეთხოვოს დეპეშით ამიერ კავკასიის კომიტეტს დაუყონებლივ გამოგზავნოს თვისი რწმუნებულნი არჩევნების სახელმძღვანელოთ.

4) იმ საკითხის შესახებ თუ ვის მიენდოს საუბნო კომისარების დანიშნა ქალაქში, დადგინდა; დრობით, ქალაქში სარაიონო კომიტეტის ორგანიზაციის დაარსებამდის საუბნო კომისარების დანიშნა მიენდოს ქალაქის სახალხო მილიციის კომისარს. შემდეგ კი, თვითონ კომიტეტს.

5) იმ საკითხის შესახებ, თუ ვინ უნდა მოიწვიონ სამაზრო მილიციის ოფიცერთა ნაცვლად, რომელნიც დღეს გადაყენებულია, დადგინდა: მოიწვიონ იმათ ალაგზე საშუალო განათლების მქონე პირნი, რომელიც განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

6) მაძებარ პოლიციის განყოფილებიდ დაპატიმრებულ აგენტთა მიქელეიშვილს ვვასალიას და მასხარაშვილის შუამდგომლობის შესახებ რომელნიც განთავისუფლებს თხოულობდენ დადგინდა, ეს საკითხი მიენდოს განსახილველად საგამომძიებლო კომისიას

✦ შემოწირულება ეკატრმა ნესტორ სერგოსძე ბარაბაძემ აღმ. კომიტეტს ხელმოწერად შესწირა 50 მანეთი.

შაბათს, 15 აპრილს სამღვდელოების კრებაზე დადგინეს დიდის ზეიმით დადმოაყენონ გენათელი და ქუთათელი გელათში.

წესდება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის.

1 წესრომა:

ა) პარტიის წევრად ითვლება ყველა ის, ვინც საქართველოს ე.-დ. პარტიის პროგრამას იზიარებს, მის დისციპლინას ემორჩილება და საწევრო გადასახადს იხდის.

ბ) ახალი წევრი მიიღება მხოლოდ პარტიის ერთის წევრის თავდებობით.

გ) მცირე წლოვანნი (18 წლამდის) არ მიიღებიან.

დ) წევრი, რომელიც პარტიის ინტერესთა წინააღმდეგ მოქმედობს ან და ზნეობრივად პარტიას სახელს უტეხს, — გამოირიცხება პარტიიდან ადგილობრივის ორგანიზაციის დადგენილებით. ამ დადგენილების განსაჩივრება შეიძლება პარტიის მთავარ კომიტეტში. მხოლოდ უკანასკნელი სამსჯავრო ინსტანცია პარტიის ყრილობა არის.

2 გარდასახადი:

ა) ყოველი წევრი ვალდებულია ყოველ თვეში იხადოს არა ნაკლებ ერთის მანეთისა ქალაქში და ერთის აბაზისა სოფლად.

ბ) ყოველი ადგილობრივი ორგანიზაცია თავისის შემოსავლის მეოთხედს (25 პროც.) პარტიის მთავარ კომიტეტს კასში ჰგზავნის.

3 პარტიის წყობილება:

ა) პარტიის ორგანოებს შეადგენენ: პარტიის საერთო ყრილობა, პარტიის მთავარი კომიტეტი და სამაზრო კომიტეტები.

ბ) ამა თუ იმ ქალაქში ან სოფელში მცხოვრებ პარტიის წევრნი შეადგენენ ადგილობრივს ორგანიზაციას.

გ) ქალაქებში არსდება სხვადასხვა უბნის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელთაც ხელმძღვანელობენ მათნი გამგეობანი; საუბნო გამგეობანი ირჩევენ ადგილობრივს ქალაქის კომიტეტს.

დ) ყოველ სოფელში არსდება კოლეგიალური ორგანიზაცია, რომელსაც ჰყავს თავისი გამგეობა.

ე) სოფლის ორგანიზაციების გამგეობანი ირჩევენ ადგილობრივს სამმასახლისო კომიტეტს.

3) სამმასახლისოების კომიტეტები ადგილობრივ დაბა-ქალაქის კომიტეტთან ერთად ირჩევენ სამაზრო (ან საოლქო) კომიტეტს, რომელიც ხელმძღვანელობს საორგანიზაციო საქმეებს მთელს მაზრაში.

ზ) სამაზრო კომიტეტებს აქვთ პარტიის ბეჭედი.

შენიშვნა: თუ ადგილობრივი გარემოება მოითხოვს, სამაზრო ქალაქებში არსებულ დროებით კომიტეტებს უფლება აქვთ ადგილობრივი ორგანიზაციები მთელს მაზრაში სხვა წესითაც მოაწყონ.

4 პარტიის მთავარი კომიტეტი:

ა) ხელმძღვანელი ორგანო სამაზრო კომიტეტებისა და გამაერთიანებელი ძალა მთელის საქართველოს პარტიული ორგანიზაციათა არის მთავარი კომიტეტი, რომელიც იმყოფება თბილისში.

ბ) მთავარი კომიტეტი გამაკგებს პარტიის საერო ცასას და ქონებას, ხელმძღვანელობს პარტიულ გაზეთის და ლიტერატურის რედაქციას, არკვევს მიმდინარე სტატეკო საკითხებს და სხვა პარტიებთან ურთიერთობას და აქვეყნებს ყოველნაირ აქტებს პარტიის სახელით.

გ) მთავარი კომიტეტი ამტკიცებს ახალ ორგანიზაციებს.

დ) ყოველი დადგენილება მთავარ კომიტეტისა სავალდებულოა პარტიის ყოველ დაწესებულებისთვის და წევრისათვის.

ე) მთავარ კომიტეტს თვეში ერთხელ უნდა მოხსენდეს სამაზრო და სხვა ადგილობრივ კომიტეტთა მოქმედების ანგარიში და ცნობა მათი პირადის შემდგენლობის შესახებ.

ვ) მთავარ კომიტეტთან არსებობს განსაკუთრებული სარევიზიო კომისია.

ზ) მთავარი კომიტეტი ირჩევს აღმასრულებელ ორგანოს — პრეზიდიუმს, სახელდობრ: თავმჯდომარეს, მის ორ ამხანაგს, მდივანს და ხაზინადარს.

თ) მთავარი კომიტეტი შესდგება 9 წევრისაგან და კანდიდატისაგან, რომელთაც ირჩევს ერთის წლის ვადით პარტიის საერთო ყრილობა.

V. პარტიის ყრილობა.

ა) პარტიის საერთო ყრილობა არის პარტიის უმთავრესი ორგანო.

ბ) პარტიის ყრილობას იწვევს მთავარი კომიტეტის წელიწადში ერთხელ მაინც.

გ) პარტიის ყრილობა შესდგება სამაზრო (ან საოლქო) კომიტეტთა მიერ არჩეულ წარმომადგენელთაგან. ყოველი სამაზრო კომიტეტი იმდენს წარმომადგენელს ირჩევს, რამდენიც იმ მაზრაში (ან ოლქში) ასი წევრია. სადაც ასზედ ნაკლები წევრი არის იქ ერთს წარმომადგენელს ირჩევენ.

დ) პარტიის ყრილობის წევრებად ითვლებიან აგრეთვე წევრები თავთავ კომიტეტისა და პარტიის ის წევრნი, ვისაც თვით ყრილობა მიიწვევს.

ე) პარტიის ყრილობა ამტკიცებს თავთავ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ყოველ-წლიურ საორგანიზაციო და საფინანსო ანგარიშს და სწყვეტს ყოველგვარ საპროგრამო და სატაქტიკო საკითხებს.

თბილისი.

მამრგაგუნეულ სასამართლოს რეფორმაში კეკკასიაში. კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიანდო თბილისის ოლქის სამოსამართლო პალატის ნაფიც ეფედილთა სპეკოს, შეიმუშავოს მომრიგებელ სასამართლოს ინსტიტუტის სასამართლოს წესდებანი, რომელნიც დღიდან დაარსებისა (1864 წ.) 50 წლის განმავლობაში შეუცვლელად მოქმედობდა. ახლა 9 კაცისგან შემდგარი კომისია უკვე შეუდგა მიზნის განხორციელებას. კომისიამ გადასწყვიტა არსებითი ცვლილება შეიტანოს 15 თებაოვის 1912 წ. კანონში. მოიწვიოს ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობის მისაღებად, ხოლო სამართალი ხდებოდეს იმ ენაზედ, რომელზედაც ლაპარაკობს მცხოვრებთა უმეტესობა.

საქართველოს ავტოკეფალურ კეკლესიის ქონებრივი უფლებანი. ამ სათაურით დაბეჭდილია ჩვენს საეკლესიო საქმეთა მცოდნის ანტონ ნატროშვილის ფელეტონები „ეოზროკედენიეს“ მე 6 და მე 8 ნომრებში.

პარასკევს, აპრილის 14-ს საღამოს 9 საათზე გაიმართა ს. ჯაფარიძის თავმჯდომარეობით კავკასიის იერარიული საზოგადოების კრება, რომელზედაც ნაფიცმა ეფედილმა მ. ო. გრუზენბერგმა წაიკითხა მოხსენება კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა ასამართლოს შემოღების შესახებ. მომხსენებლის აზრით, ჩვენი მხარე ამისთვის საკმარისად მომწიფებულია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ ახლო მომავალში უნდა იქმნეს შემოღებული და განხორციელებულიაო. სხვათა შორის, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ სასამართლოებში საქმის წარმოება უნდა იყოს ადგილობრივ ენებზე — იმ ტომის ენაზე, რომელიც ამა თუ იმ ადგილასა სჭარობობს. კამათი გადაიდო 21 აპრილისთვის.

ცნობილი ვოსტორგოვი მოსკოვის კომისარის ბრძანებით, გაჩხრიკეს. აღმოაჩინეს საწყობი ვოსტორგოვის ლიტერატურისა, რომელიც მიმართულია სხვა და სხვა ეროვნებათა წინააღმდეგ.

პოროტოქმედება მონასტერში. იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში, სადაც წინამძღვრადაა ქართელ ეპიეთის მონასტრეპის კეთილმოწესე ეპიმანდრიტი ნაზარი, სოფ. ხაშის კომიტეტს დიდი მოროტ მოქმედება აღმოუჩენია.

ფეოდალ ეკრძალვის გამო. კავკასიის საოფლო სამეურნეო საზოგადოების ერის მიღებულ ცნობების მიხედვით, ღვინამ გაყიდვის ხანგრძლივ აკრძალვის გამო კახეთისა და სხვა მევენახეობის რაიონთა მცხოვრებნი დიდ საგონებელში არიან ჩაკარდნილნი. საქმე ის არის, რომ ამ რაიონებში მევენახეობა უმთავრესი დარგია ხალხის მეურნეობისა. ამასთანავე სწორედ ეხლა დგება ვაზების წამლობის დრო და ხალხი ვერ გამორკვეულა, რა გორ მოიქცეს, დახარჯოს ამ აუტანელ სიძვირის დროს უკანასკნელი გროში და იყიდოს ვაზის საწამლი მასალა, თუ ვენახები ღვთის ანაბარად დასტოვოს.

— შესულმანთა ეკლეს და ქართველი მაჰმადიანები. 14 აპრილს, თბილისში გამოიარა 15 აპრილს ბაქოში მუსულმანთა კრებაზე დასასწრებლათ მემედ-ბეგ-ალაშიძემ. ქართველ მაჰმადიანებს მემედ-ბეგ ალაშიძისთვის მიუნდვიათ თავიანთი წარმომადგენლობა და კრებაზე ქართველ მაჰმადიანთა ინტერესების დაცვა მემედ ბეგ ალაშიძეს „ვოზროკდენიეს“ თანამშრომლისათვის განუცხადებია, რომ ქართველ მაჰმადიანები მეფეროთ დაკავშირებულნი არიან კავკასიის მუსულმანებთან საერშეწონებრივად, მაგრამ ეროვნულად მათი ბედი განუშორებელია ქართველ ერის ბედთან საქართველოს მომავალ ტერიტორიალურ ავტონომიის ფარგალში.

სკანდეროვი. მოულოდნელად გარდაცვალა თბილისში სახალხო მგოსანი გიორგი სკანდარაშვილი (გ. სკანდარონოვარ ფსევდონიმით. მე-60 წლებიდან მთელი საქართველო მღერის მისტკბილ ხმირებს. იგი პირდაპირი მოწაფეა საიათნოვა — ბესიკისა მგოსანმა იცოცხლა 80 წელი, ხოლო მისი „სალხინო სახნდარი“ რაც დენჯერმე გამოიცა სკანდირნოვის ღვაწლი დაუვიწყარია მით, რომ მან შეკერა ბა ძველ მგოსანთა ლექსები (უმეტეს ბესიკი და საიათნოვა) და სამუდამო დაკარგვას გადაარჩინა. კარგად იცნობენ განსვენებულის საიათნოვის ეოეზიას, რაც ასე იშვიათია დღეს ჩვენში.

სახოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცველი კომისიები (იარაღისა და მილიციისა) ერთ კომისიად შეერთდნენ, რომელშიაც შეეიდნენ: ჯეფელი, ეროზიკიანი, შენგელია, ჯიბლაძე, ა. დგებუაძე და თავაძე. კომისიას ეწოდება „სახოგადოების კომისია“ და უფლება ეძნება სხვა პირებიც მიიღოს თავის წევრებად.

ბაკინის ბუნება. ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან, კომიტეტის წევრის ჯაფაროვის თავმჯდომარეობით, მოიწვო საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს ყველა საკითხი ამიერ-კავკასიის გზების შესახებ.

პოლიტიკაა?

უაღრესად საკვირველია სომხურ გაზ. „მშაკი“-ს, „ორიზონტი“-ს და „კავკასხოეკ სლოეო“-ს საქკეიელი. ვერ ავის გაუგია, თუ რათ ანთხეევენ ეგენი შხამს, რათ ებრძვიან ჩვენს ეროვნულ მეშამას. ახლო წარსულში თბილისელი სომეხი პოლიტიკოსები რიგრიგად ეხებოდნენ ჩვენ ეროვნულ ეკლესიებს ქართველ ხალხის სახელის გასატეხად და მის დასამცირებლად გაიხსენეთ მიმდინარე ომში სომეხ პოლიტიკანების მიერ გაბარკილებული ამბავი „ვეზროკდენიეს“ ეროვნულ ეკლესიებ ნაწილ ... ეროვნ. ... ეკლესიებ ... ეროვ. ... ეკ. ... ეროვ. ... ეკ. ... ეროვ. ... ეკ.

ამ მოქლე ხანში ქ. ერეკლიში მოიწვიოს ალ. ხატისოვის თავმჯდომარეობით კონფერენცია, რომელიც დამფუძნებელი კრებაზე წარსადგენ სომხურ კითხვებს განიხილავს. ნუ თუ ეს ეროვნული მუშაობა არ არის? საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი!.. საქართველოში სომხობა ეროვნულ მოქმედებას გვიკრძალავს... იგი ებრძვის ქართულ ეკლესიის ისეთს თავისუფლებას, როგორიც აქვს სომხის ეკლესიას. რას ნიშნავს ეს? პოლიტიკაა —

ჩვენ ბ. გვიფქვამს და ახლაც ვაცხადებთ, რომ კავკასიის ერთათვის ასეთ დროს მაგვარი განწყობილება დამლუპველია.

ეს ღრმად უნდა ესმოდეს ყველა კავკასიის ერთა ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

ი. ამერელი.

საერთიერთო ნდობის საზოგადოების პრეგა.

გუშინ, 16 აპრილს აწინდელ საქალაქო მართველობის დარბაზში მოხდა ქუთაისის საერთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება. წევრთა საკმაოდ დიდი რიცხვი დაესწრო კრებას. თავმჯდომარეთ აირჩიეს მოქალაქე ილია ჩიქოვანი. ბ-ნმა თავმჯდომარემ ვრცელი საზეიმო სიტყვის შემდეგ კრებას წარუდგინა რამდენიმე განსახილველი საკითხი.

კრებამ მუშაობა გასული წლის ანგარიშის განხილვით დაიწყო. ბ-ნმა რაჟდენ დათუშიძემ წაუკითხა კრებას გასული წლის ანგარიში. მისი მოხსენებიდან სჩნდა, რომ საერთიერთო ნდობის ბანკის საქმე რიგიან გზაზე დამდგარა, მიუხედავად ომის მიერ შექმნილ ხელშემშლელ პირობებისა.

ფული გასულ წელს ბანკში სახელდობრ 74 მილიონი მანეთი გადაუტრიალებიათ წინა წლთან შედარებით 34 მილიონით მეტი. ბანკს აგრეთვე მოუხერხებია წევრთა რიცხვის გადიდება. ამ ოპერაციებში ბანკს გასულ წელს დარჩენია წმიდა მოგება 39 ათასი მანეთი. აქ მომხსენებელმა გაახსენა საზოგადოებას, რომ ჩვენი ბანკი წინათ მოგების ნაცვლად მუდამ ზარალობდა. ბედნიერ ზარალს გაუდიდებია ბანკის ვალი. ამიტომ 39 ათასი წმიდა მოგების ფულს, უნდა გამოაკლდეს 27 ათასი მანეთი ძველი ვალების გასასტუმრებლად. ამ გვარად ნაშთი 12,826 მანეთი უნდა განაწილდეს სათადარიგო თანხათ, გადასახადებათ და დივიდენდათ. მომხსენებელის თქმით ბანკი რიგიან გზას მხოლოდ 1910 წლიდან დასდგომია. იგი აქამდი სხვა ბანკებზე მეტ პროცენტს ღებულობდა, რადგან ბანკის უსაშუალობისა გამო ძველი ვალები პროცენტების ჩამონარჩენით უნდა გასტუმრებულიყო მომავალში კი საზოგადოება მეტის ნდობით ისარგებლებსო. სთქვა მომხსენებელმა.

თავიანი მხრით მონაგებ ფულის განაწილების შესახებ მომხსენებელმა დაუთქვა. —10 პროც. მოგებისა სათადარიგო თანხაში გადვიდეს, (ე. ი. 1,282 მანეთი). ნაწილი გადაეცეს კომერციულს სასწავლებელს, ხოლო დივიდენდათ დარჩენილ შემოსავლის ნაწილი სხვა და სხვა საზოგადოებებს გაუნაწილდეს. ზემო ხსენებული ანგარიშის მოსმენის შემდეგ, კრების სარევიზიო კომისიის წევრმა ბ-ნმა დიდიმ ჩიკვანიძემ წაუკითხა სარევიზიო კომისიის ანგარიშები.

წიგნები და საქმის ქაღალდები რიგიანადაა წარმოებული, საბუთები ნამდვილია და კოფიერიც სწორიაო. სარევიზიო კომისიის წევრმა საზოგადოებას ბ-ნ რაჟდათუშიძის მიერ წაკითხული გასული წლის ანგარიშის დამტკიცება სთხოვა. ასეთისავე თხოვნით მიმართა საზოგადოების საერთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს წევრმა. კრებამ ანგარიში ერთხმად დაამტკიცა. ჯერი მიდგა დივიდენდათ დარჩენილ ფულის განაწილებაზე.

ბ-ნმა გრიგოლ გველესიანმა წინადადება შეიტანა, დარჩენილი მოგება, 8000 მანეთი გადაეცეს საავტონომიო ეროვნულ ფონდს, ან ეს ფული ავტონომიის მაღალ ეროვნულ ჯგუფს გადაეცესო. (ეროვნულ-დემოკრატებსა და სოც.-ფ-ს). ხოლო ვინც წინააღმდეგი გახდება მან თავიანი წილი წაიღოსო.

დავ. ქებაძე—ახსენებს საქართველოში სხვა პარტიების არსებობას და ფულის ნაწილის გადადებას ითხოვს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებისთვისაც.

პასუხად ბ-ნ ი. ოცხელმა ასეთი განმარტება მისცა. თვითოეული ჩვენთაგანი რაიმე წრეს, რაიმე შეხედულებას ემსახურება. რევოლიუციის დაცვას ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა მოახმაროს მთელი თავისი ძალა. მაგრამ მე იმ წრეს და მიმართულებას მივცემ ფულს, რომელსაც მე ვეკუთვნონ. ყველას ერთი სალოცავი და მიზანი გვაქვს. ოღონდ მე მივდივარ ჩემ საკურთხეველთან და იქ ვილოცებთო. აქ ყველა ავტონომიანი, ვისაც ფული ეროვნული ფონდისათვის უნდა. ნურავინ დაუშლის ამ ფულის გადაცემა ეროვნულ პარტიებსა თუ საავტონომიო ეროვნულ ფონდს, ოღონდ ეს ფული იყოს დიდ ეროვნულ საქმეს კი მოხმარდესო.

ამის შემდეგ ილაპარაკა ორატორთა მთელმა წყებამ. ზოგი მოლაპარაკე ავტონომიისათვის ფულის გადადების უარყოფას პირდაპირ ვერ ახერხებდა და აპირობდა ფულის ისევ ბანკის საქმეებზე მოხმარებას. ზოგი კი სხვა და სხვა პარტიებისთვის აპირობდა ფულის განაწილებას. ყოველი ორატორი თითო ახალ პროეკტს აყენებდა ფულის გასანაწილებლად. ორატორთა ურთიერთ შორის მომხდარ განხარტების შემდეგ თავმჯდომარემ საკითხი გადასწყვეტად დაუყენა კრებას.

კრებამ ხელის აწევით ერთხმად თანხმობა გამოაცხადა ფულის განაწილებაზე. მეორე საკითხად დაისვა თუ ვის გადაეცეს ფული. კრების უმრავლესობამ თანხმობა გამოაცხადა ფული ეროვნულ ფონდისათვის ან ეროვნულ პარტიებისთვის გადადებულიყო. დავით ქებაძეს ამ დროს ყუთების დადგმა მოინდომა სამი საკითხისთვის. ასეთს გამოსვლას რამდენიმე პირმა მხარი დაუჭირა. კრებამ მაინც გადასწყვიტა ხელის აწევით გადაეკრთ საკითხი. წინად კრების უმრავლესობამ ფული ეროვნულ პარტიებს აკუთვნა, ხოლო ახლა თავმჯდომარემ ხელმეორედ დასვა საკითხი და კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 200-200 თუმანი გადაეცეს ეროვნულ დემოკრატთა პარტიას, ს.-ფ. პარტიისა და მუშათა საბჭოს. ხოლო 1000 მანეთი ბ-ნ რაჟდენ დათუშიძის წინადადებით ავტოკეფალურ ქართულ ლეკლიას.

დასასრულ კრებამ მოისმინა მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა. საერთიერთო ნდობის საზოგადოების კრება სხვა საკითხების განსახილველად შემდეგ კვირას მოხდება.

ქართველი სამღვდელოება
და ჩვენში არსებული პარტიები.

საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის დროებით მართველობის ქუთაისურ ფილიალურ განყოფილების კრებაზე 15 აპრილს მწარე კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ქართველ სამღვდელოებას ჩვენში არსებულ პარტიებთან. მღვდელი გარეშე პარტიათა უნდა იდგეს, თუ რომელიმე პარტიას უნდა ემხრობოდეს და თუ ემხრობოდეს, სახელდობრ, რომელი პარტიაა მღვდლის ხარისხისათვის შესაფერისი. ამ საკითხებმა დამსწრე სამღვდელოება ორ ნაწილად გაყო ერთი ნაწილი მოითხოვდა, სამღვდელოებას უსათუოდ ანგარიში გაეწია სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის, და მეორე ნაწილი ამ გარემოებას წინაღუდგა და სინოდისის თავისუფლებას მოითხოვდა დიდებულმა რუსეთის რევოლიუციამ უპირველეს ყოვლისა სინოდისის თავისუფლება მოგვიტანა და სად იქნება სინოდისის თავისუფლება, თუ სამღვდელოება ჩვენში არსებული რომელიმე პარტიის წინაღმდეგ გაიღაშქრებს და მისი წევრების რწმენა-თავისუფლებას შებორკავს? ქართველი სამღვდელოება არასოდეს ყოფილა კლერიკალიზმით შეპყრობილი და მით უმეტეს ეს მავნებელი ავადმყოფობა ეხლა არ უნდა გამოიჩინოს მან, თუ უნდა, რომ ქართველი ხალხის ნდობა და სიყვარული. სრულიად არ დაკარგოს. მაშ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი მღვდელი და როგორ გზას უნდა დადგეს პოლიტიკურ რწმენაში? ინ როგორ. მისთვის ყველა პარტიის მიმდევრები ერთი უნდა იყოს, ყველა ერთნაირად უნდა უყვარდეს და თავის პოლიტიკურ რწმენას არავის არ უნდა ახვევდეს თავზე ამასთანავე ყველა მღვდელს სრული უფლება აქვს, იმ პოლიტიკური პარტიის მრწამსი გაიზიაროს, რომელისაც მას თავის სინიდისი უკარნახებს. სინიდისის თავისუფლების მაგალითს ჩვენ ჩვენი ღვთაებრივი მასწავლებლის ცხოვრებაში ნათლად ვხედავთ. ქრისტიანობა ჭეყნად ცეცხლითა და მახვილით არსად არ გავრცელებულა და გარდა ამისა, როგორც მისი თქმა არ არის ადვილი, რომ ქრისტე სოციალისტი იყო, აგრეთვე არც მისი თქმა შეიძლება, რომ იგი ნაციონალისტი იყო. დასასრულ იმას ვიტყვი, რომ მღვდელი უნდა იყოს მორწმუნე ადამიანი და პოლიტიკურ რწმენაში სრული თავისუფალი.

მ. ბუაჩიძე.

რუსეთი.

რუს ემიგრანტთა დაუკვეცება. ემიგრანტთა ტროცკისა, ჩუდნოვსკისა, მუხინისა, ფიშელევისა, რომანჩენკოსი და მელნიკ შანსკის ინგლისის მთავრობის მიერ და ტყვეევის გამო, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა ინგლისის მთავრობასა და იქაურ პეტროდელ გამოცემებს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნოს:

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა გაიგო, რომ ორთქლმავალ გემ „ხსიტიან-ფიორდ“-ზე გალიფაქსში დაუტყვევებიათ რუსეთის ემიგრანტები.

რევოლიუციონური დემოკრატია რუსეთისა მოუთმენლად მოელის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, იკრძალ თავის დროშის ქვეშ ყველა იმათ, ვინც თავგანწირულ მუშაობით მოუმზადა ნია დგი მეფის ჩაბოგდებას. ინგლისის მთავრობა უშვებს ზოგ ემიგრანტებს და ზოგს კიდეე რა, მიხედვით იმისა რა რწმენასტარებს ის ემიგრანტი. ინგლისის მთავრობა ამით მიუტევებელ საქმეს სჩადის. იგი ეხება რუსეთის შინაურ საქმეებს და მით შეურაცხყოფს რუსეთის რევოლიუციას, ითმენეს რა მას მის ერთგულ შვილ ჯეს.

აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი, პროტესტს უცხადებს ინგლისის მთავრობას ამის გამო და მოუწოდებს ინგლისის დემოკრატიას, მხარი დაუჭიროს ამ პროტესტს. აგრეთვე მოუწოდებს საგარეო საქმეების მინისტრს, მიიღოს საჩქარო ზომები, რომელთა განხორციელება აუცილებელია რუს ემიგრანტთა სამშობლოში დასაბრუნებლათ.

გაზ. „უტრო როსიი“-ს კორესპონდენტი მოგვითხრობს: კრონშტადტი კაპიტან ალმკვისტის ამბავმა აალელვა. ჯარის-კაცთა მოთხოვნით ის დაატუსაღეს. გამომძიებელმა კომისიამ პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორის პეტროვრუსერის (შინდტისა და პოტემკინის მტროსთა დამკვეთის) მეთაურობით განიხილა, კერენსკისაგან მიღებულ დეპეშის თანხმად სასწრაფო წესით, ალმკვისტის საქმე და დადასწყვიტა მისი განთავისუფლება და პეტროგრადის სამხედრო კომისიის განკარგულებაში გადაცემა. მაგრამ ჯარისკაცებმა და მატროსებმა შეიპყრეს ისა და მისი მოხუცი მამა და მიიყვანეს ისინი სახლეთა საკრებულოში, რომელსაც ოდესაღაც ხალხი ერტყა გარშემო. ალმასრულებელ კომიტეტის წევრები შეეცადნენ შეკრებილითა დამშვიდებას, არწმუნებდენ მათ, გამომძიებელი კომისია ყველაფერს გამოარკვევსო, მაგრამ ბრმა გაიძახოდა „შეიპყარით კომისია, ეს ბურჟუები გამკეთლები არიანო.“ მოვიდა კომისია პეტროვრუსეის მეთაურობით. პეტროვრუსემ განუმარტა შეკრებილი ხალხს ყველა გარემოება და ისიც აღნიშნა, რომ ბატალიონმა, რომელშიც ალმკვისტი მსახურებდა, მას ნდობა გამოუცხადა. შემდგომ ამისა პეტროვრუსეს უნდოდა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ შეკრებილთაგან ისეთი მუქარა მოისმა, რომ პეტროვრუსეი გამომძიებელ კომისიის სხვა წევრებთან ერთად იძულებული გახდა საზღვარ საკრებულოში დამაღულიყო. ბრბომ ვერ ბალოდ ბრბოს ბრბოდ ბრბოდ ... ...